პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 ივნისი შაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 138 (14134)

ცხარე დღეებია ენგურჰესის მშენებლობაზე. ზვიად მთებს შერკინებია ათასობით მშენებელი. ენგური მაღლა, მთებში დაგუბებული წყალსაცავიდან მრავალკილომეტრიანი გვირაბებით უნდა წამოვიდეს. ის მთების გულში გაივლის და სანამ შავ ზღვას შეერთვოდეს, გზადაგზა აამუშავებს ელექტროსადგურს, რომელიც არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას უზრუნველყოფს იაფფასიანი ელექტროენერგიით.

ალიონიდან გვიან ღამემდე მუშაობას არ წყვეტენ მშენებლები. განსაკუთრებით თავდადებით შრომობენ გვირაბმშენის სამმართველოს მეორე უბნის გვირაბგამყვანები. მათ მაისის გეგმა 5 დღით ადრე შეასრულეს. ივნისის პირველი ნახევრის შედეგებიც სასახელოა.

...ცვლა დამთავრდა. ეს გვირაბგამყვანები 6 საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ მთის გულში, ქანებს ებრძოდნენ. ახლა კი მუშაობის შთაბეჭდილებებზე საუბრობენ. მათი მოღიმარი სახეები იმაზე მეტყველებენ, რომ შრომით კმაყოფილნი არიან. ცვლის გეგმა დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული.

ფოტო პ. ყუფუნიასი.

ენგურჰესის მშენებელთა მოწოდება

მივილოთ ტექნიკისაგან ყველაფერი, რისი მოცემაც შეუძლია!

„საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების

მ ი მ ა რ თ ვ ა

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ყველა მექანიზატორის, მშენებლობისა და ავტოტრანსპორტის მუშაკისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! საწარმოებში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მესამე წლის დასასრულებისა-თვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად საქართველოს მშრომელები პირნათლად ასრულებენ პარტიის 23 კრებულის გადაწყვეტილებებს.

უკანასკნელ წლებში საქართველოში აშენდა ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური, ტყიბულის ჰიდროელექტროსადგური, გუმათის ჰიდროელექტროსადგური, ბრამჰესის 2 ჰიდროელექტროსადგური, ობილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მდინარე ენგურზე ამიერკავკასიის უდიდესი უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. მარტო მიწისათხრელი მანქანები აქ 35 მილიონ კუბურ მეტრ გრუნტს ამოიღებენ. ასეთი მოცულობის მიწისა და კლდის მექანიზებული სამუშაოები არ შესრულებულა ჩვენი ქვეყნის ჰიდროენერგეტიკული სადგურების არც ერთ მშენებლობაზე.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე აქტიურად მუშაობენ მექანიზატორები. მათ შორის თავდადებული შრომით და მანქანების კარგი მოვლით, ტექნიკური ექსპლოატაციის წესების დაცვით და გამომუშავების ნორმების მნიშვნელოვანი გადაჭარბებით თავი ისახელეს მექანიზატორებმა: სოციალისტური შრომის ვერცხლის ორდენოსანმა ვ. სალამატოვმა, ა. ხუციურაულმა, ნ. სებისკვერაძემ, ტ. გაჩილაძემ, ვ. ტარასენკომ, ა. კირიანოვმა, უ. სახეიშვილმა, შ. ცხადაიამ, ი. მაკარჩუკმა და სხვებმა.

სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივმა 1967 წლის საწარმოო პროგრამა 132 პროცენტით შეასრულა, ხოლო მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა — 129 პროცენტით.

მაგრამ თუ აღვაკვეთავთ ნაკლოვანებებს, რომლებიც დაკავშირებულია წარმოებასთან, მანქანების ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტთან, მიწისა და კლდის სამუშაოთა მექანიზებული წარმოების ორგანიზაციასთან, სამუშაოთა ფრონტის უქონლობით მანქანების მოცდენასთან, აგრეთვე ავტოპარკის გამოყენების დაბალ კოეფიციენტთან, შეიძლება მნიშვნელოვნად გავადიდოთ მიწის სათხრელი მანქანების და ტრანსპორტის მწარმოებლობა, აკამაღლოთ სამშენებლო ორგანიზაციათა მაჩვენებლები.

ჩვენ, სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მექანიზატორები მოწოდებით მივმართავთ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ყველა მექანიზატორს, მშენებელსა და მუშაკს გაიჩაღონ შეჯიბრება დევიზით „მივილოთ ტექნიკისაგან ყველაფერი, რისი გოცემაც შეუძლია“.

ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებებს:

მექანიზმების ექსპლოატაციის გაუმჯობესების, არამწარმოებლური მოცდენის ლიკვიდაციისა და სამუშაოთა წარმოების სრულყოფის მიზნით განვახორციელებთ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს და შევასრულებთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიურ გეგმას სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისათვის — 1968 წლის 5 დეკემბერს.

მშენებლობის ძირითად ობიექტებზე მიწის სათხრელ მანქანებს ვამუშავებთ 2-3 ცვლად და 1968 წლის დამლევამდე დავამუშავებთ:

1 შიფიურ ჰიდროელექტროსადგურში — ქვაბულში — 450.000 კუბურ მეტრ გრუნტს, წყალსაგდებში — 200.000 კუბურ მეტრს, წყალმისაღებში — 300.000 კუბურ მეტრს, წყალი სარინ არხში — 1.000.000 კუბურ მეტრს.

ენგურკაშხალმშენის სამშენებლო სამმართველოში — კაშხალის მარცხენა ნაპირზე — 1.000.000 კუბურ მეტრ გრუნტს, მარჯვენა ნაპირზე — 700.000 კუბურ მეტრს;

ძალური კვანძის სამშენებლო სამმართველოში — წყალსარინი არხის № 1 სანგრევში — 37.000 კუბურ მეტრ გრუნტს, წყალსარინი არხის № 2 სანგრევში — 20.000 კუბურ მეტრს, დასაწნავი გვირაბის № 10 სანგრევში — 48.000 კუბურ მეტრს;

გვირაბმშენის სამშენებლო სამმართველოში — № 4 სანგრევში — 85 000 კუბურ მეტრ გრუნტს, № 7 სანგრევში — 65.000 კუბურ მეტრსა და № 8 სანგრევში — 60.000 კუბურ მეტრს;

უზრუნველყოფთ მანქანების ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს, ამასთან გავზრდით ექსკავატორების ბუდლდზერებისა და ამწეების რემონტებს შორის პერიოდს.

რაციონალურად გამოვიყენებთ მანქანებს და მექანიზმებს, სწორად გავანაწილებთ მუშა-ხელს, ავამაღლებთ წარმოების კულტურას და გავაუჯობესებთ ეკონომიურ მუშაობას და ამით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულებას შევამცირებთ ორი პროცენტით.

გავზრდით ერთი მუშის გამომუშავებას 1968 წელს 6 პროცენტით.

კომპლექსური ბრიგადების შექმნით, არამწარმოებლური მოცდენების შემცირებით, მანქანების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის გაუმჯობესებით 1968 წელს 5 პროცენტით გავადიდებთ გამომუშავებას ექსკავატორის რიცხვის კუბურ ტევადობაზე 1967 წელთან შედარებით.

გავაძლებთ მუშობას რაციონალიზაციისა და გამომგონებლობისათვის, ყოველი ღონისძიებით გავაფართოებთ რაციონალიზატორთა აქტივს. წლის დამლევამდე დავნერგავთ წარმოებაში სულ ცოტა 30 რაციონალიზატორულ წინადადებას, რაც სულ 15 ათას მანეთს დაგვიზოგავს.

ავამაღლებთ წარმოების მეთაურთა პასუხისმგებლობას შრომის დაცვისა და უსაფრთხობის ტექნიკისათვის. განვახორციელებთ საჭირო ღონისძიებებს შრომის პირობების გასაუჯობესებლად.

ავამაღლებთ მექანიზატორთა პასუხისმგებლობას მანქანებისა და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობისათვის, ფართო პოპულარიზაციას გავუწევთ და წავახალისებთ მოწინავე მექანიზატორებს, რომლებიც სანიმუშოდ უვლიან და კარგად ინახავენ მათთვის მიჩენილ ექსკავატორებს, ამწეებს, ბულდოზერებსა და სხვა მანქანებს.

საუბნო საწყობების მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მანქანების აღრიცხვისა და ოპტიმალურ რეჟიმებზე ექსპლოატაციის სრულყოფის გზით საწვავ-საპოხი მასალების ხარჯს ნორმასთან შედარებით 10 პროცენტით შევამცირებთ.

ფართოდ გავავრცელებთ მოწინავე გამოცდილებას და ამ მუშაობაში ჩავებამთ საუკეთესო მექანიზატორებს.

მოვუწოდებთ სამშენებლო და ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციების მუშაკებს:

გამოიყენონ საბურღ-ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოების ყველაზე თანამედროვე მეთოდები, ამასთან ამ სამუშაოებამდე დაამუშამაკონ გრუნტი და შექმნან სამუშაოთა ფართო ფრონტი ექსკავატორებისა და ბულდოზერებისათვის;

გაიუმჯობესონ ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი, გაადიდონ ავტოპარკის გამოყენების კოეფიციენტი, 2 ცვლად ამუშაონ თვითმცლელი გრუნტის გადაზიდვის დროს;

დაიჩქარონ მექანიზაციის ბაზის მშენებლობა გალსა და ჭვარზენში; ავამაღლონ სამშენებლო სამმართველოთა მუშაკების პასუხისმგებლობა მანქანათა გამომუშავების დირექტივული ნორმების შესრულებისათვის; აგრეთვე მათი რაციონალური და უსაფრთხო გამოყენებისათვის. განახორციელონ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი გვირაბებში ვენტილაციის გასაუმჯობესებლად;

გაიუმჯობესონ მუშაოთა მომარაგების განყოფილებების მუშაობა, აგრეთვე მექანიზატორთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები.

სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშაკთა კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს, რათა პირნათლად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი, შეიტანს თავის წვლილს საპატიო ამოცანის გადაწყვეტაში — დაამთავროს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში.

სამუშაოთა მექანიზაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივის ბრიგადები:

ვ. სალამატოვი — სოციალისტური შრომის გმირი, ექსკავატორის მემანქანე, შ. ცხადაია — თბომავლის მემანქანე, ნ. გოგრეჭეკინი — ექსკავატორის მემანქანე, ი. მაკარჩუკი — ექსკავატორის მემანქანე, ვ. აკობია — მებულდოზერე, ვ. კრიკაკი — ექსკავატორის მემანქანე, ნ. ცუცხუბაია — მებულდოზერე, ი. ლომონჯავა — მებულდოზერე, ა. კირიანოვი — ამწის მემანქანე, ნ. ზემლიანკოვი — ექსკავატორის მემანქანე, ა. ზვიადაძე და ი. რისკოვი — უბნის უფროსები, ა. ბელენკო — კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, ვ. კაზანცევა — სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე, ც. ფულაია — პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი, ა. დიაკოვი — სამუშაოთა მექანიზაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი.

ხუთწლედი — ვადამდე!

დროშა — ფითელწყაროელებს

ფითელწყარო. ამ დღეებში რაიონის კულტურის სახლში თავი მოიყარეს სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებმა. შეკრება გახსნა პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. გონაშვილმა.**

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **შ. კიკნაძემ** რაიონის მშრომელებს გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც რაიონმა დაიმსახურა 1967 წელს სოფლის მეურნეობის დარგში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

სიტყვა-პასუხი გამოვიდა პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი **ა. გონაშვილი.** რაიონის მშრომელთა სახელით მან პირობა დადო, რომ ხუთწლედის მესამე წელსაც ახალ-ახალ წარმატებებს მოპოვებენ.

შეკრებილთ გარდამავალი დროშის მიღება მიუღოცეს პარტიის გურჯაანის რაკომის პირველმა მდივანმა **გ. ანაურაშვილმა** და სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსმა **ბ. დავითაშვილმა.**

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ და ახალი გადიდებული ვალდებულებები აიღეს ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა **ნ. ყორიაშვილმა,** ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ა. კობაიძემ,** საქართველოს ალკა წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივანმა **ლ. ბუშუელაშვილმა,** წითელწყაროს ორგანიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორმა **გ. დოლიძემ,** ზემო მარხასის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა **ე. ნატროშვილმა,** სოფლის მეურნეობის წარმოებისა და დამზადების პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარემ **რ. ბუჩუკურმა** და სხვებმა.

დ. ბატიაშვილი.
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაციის მეგობრული საუბარი

ამა წლის 14 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფება საბჭოთა კავშირში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარის იოზეფ სმრკოვსკის მეთაურობით.

გულთბილი, მეგობრული საუბრის დროს ი. სმრკოვსკიმ და ეროვნული კრების დეპუტატებმა მადლობა გადაუხადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ძმური შეხვედრისათვის, უამბეს თავიანთ შთაბეჭდილებებზე, რაც მიიღეს საბჭოთა კავშირში მოგზაურობით, მოსკოვის, ვოლგოგრადის, ლენინგრადისა და ლატვიის სს რესპუბლიკის მშრომელებთან, საბჭოთა და პარტიულ მუშაკებთან გულთბილი საუბრებით.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. სმრკოვსკიმ რწმენა გამოთქვეს, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაციის ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას, ახალი წვლილი იქნება მთელი სოციალისტური ბანაკის ერთიანობის განმტკიცებაში.

(საკდესი).

საუბარი კრემლში

13 ივნისს კრემლში გაიმართა ლ. ი. ბრეჟნევის, ნ. ვ. პოდგორნის, ა. ნ. კოსიგინის საუბარი ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ურხო კალევა კეკონენთან.

გულთბილი, მეგობრული საუბრის დროს საბჭოთა ხელმძღვანელებმა და ფინეთის პრეზიდენტმა გულახდილად გაუზიარეს ერთმანეთს აზრები საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, აგრეთვე — საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე. (საკდესი).

რესპუბლიკის კომბინირებული საკვების მრეწველობის მუშაკთა წარმატება

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომბინირებულ საკვებს, რომლის წარმოება რესპუბლიკაში წლითიწლობით იზრდება.

ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულებას დიდი შრომითი აღმავლობით შეუდგნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოთა მუშაკები. ისინი წარმატებით წყვეტენ კომბინირებული საკვების მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაფართოების, ხარისხოვანი საკვებით რესპუბლიკის მეცხოველეობის მაქსიმალურად უზრუნველყოფის ამოცანებს.

10 ივნისისათვის რესპუბლიკის კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა 101,4 პროცენტით შეასრულეს წარმოების ნახევარი წლის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 135 ათასი ტონის ნაცვლად გამოშვებულია 137 ათასი ტონა კომბინირებული საკვები. მათ იკისრეს ივნისის დამლევამდე ნახევარი წლის დავალების გადაჭარბებით გამოუშვან 20 ათასი ტონა ეს პროდუქცია.

ბევრი რამ კეთდება კომბინირებული საკვების წარმოების გადიდებისათვის. მაღლ დამთავრდება გორის პურეული პროდუქტების ბაზასთან არსებული კომბინირებული საკვების საამქროს მშენებლობა, რომლის მწარმოებლობა დღე-ღამეში 100 ტონა იქნება. 20-30 ტონით გაიზრდება კომბინირებული საკვების საღღეღამისო წარმოება ცხაკაიასა და ცხინვალის პურეული პროდუქტების ბაზებთან არსებული საამქროების რეკონსტრუქციის შემდეგ.

ეჭვს არ იწვევს, რომ წლიური დავალებანი და ვალდებულებანი, რომლებიც რესპუბლიკის კომბინირებული საკვების მრეწველობის მუშაკებმა იკისრეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, შესრულდება. გადაწყვეტილია კომბინირებული საკვების წარმოების წლიური გეგმა გაიზარდოს 15 ათასი ტონით. დასახულია გამოუშვან 150 ათასი ტონა საკვები, რომელიც გამდიდრებული იქნება ამინომჟავებით, ვიტამინებით, მიკროელემენტებითა და ანტიბიოტიკებით. ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოები გეგმის გადაჭარბებით გამოუშვებენ 70 ათას ტონა კომბინირებულ საკვებს. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

თათბირ-სემინარი შინაპარტიული კონტროლის საკითხებზე

14 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა პარტიის რაიკომებთან, საქალაქო კომიტეტებთან არსებული პარტიაში მიღების ხაკითხთა და კომუნისტებთან პერსონალურ საქმეთა წინასწარ განმხილველი შტატგარეშე პარტიული კომისიების თავმჯდომარეთა და საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტებთან არსებული პარტიული კომისიების თავმჯდომარეთა თათბირ-სემინარი.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **პ. როდიონოვმა.**

მოხსენება „შინაპარტიული კონტროლის გაძლიერება და პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარემ **დ. ბელაშვილმა.**

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარემ **ვ. იოსავამ,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარემ **კ. ჩხატარაშვილმა,** საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარემ **შ. სანაკოევმა,** საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომთან არსებული პარტიაში მიღების საკითხთა და კომუნისტების პერსონალურ საქმეთა წინასწარ განმხილველი შტატგარეშე პარტიული კომისიის თავმჯდომარე **ზ. კიკნაძემ,** საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან არსებული პარტიაში მიღების საკითხთა და კომუნისტების პერსონალურ საქმეთა წინასწარ განმხილველი შტატგარეშე პარტიული კომისიის თავმჯდომარემ **ე. გურჯანაძემ,** საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტთან არსებული პარტიაში მიღების საკითხთა და კომუნისტების პერსონალურ საქმეთა წინასწარ განმხილველი შტატგარეშე პარტიული კომისიის თავმჯდომარემ **ნ. სიმონიშვილმა,** საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტთან არსებული პარტიაში მიღების საკითხთა და კომუნისტების პერსონალურ საქმეთა წინასწარ განმხილველი შტატგარეშე პარტიული კომისიის თავმჯდომარემ **შ. საანიშვილმა,** საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტთან არსებული პარტიაში მიღების საკითხთა და კომუნისტების პერსონალურ საქმეთა წინასწარ განმხილველი შტატგარეშე პარტიული კომისიის თავმჯდომარემ **ვ. ძაბახიძემ.**

თათბირ-სემინარის მონაწილეთათვის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა **ი. ტაბაღუამ** წაიკითხა ლექცია საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აკადემიკოს ა. ს. ჩიქობავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით აკადემიკოსი არნოლდ სტეფანეს-ძე **ჩიქობავა** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოფანიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1968 წლის 14 ივნისი.

ჯარელიის ასსრ. კონდოპოგის ქაღალდის კომბინატი.

სურათზე: გაზეთის ქაღალდის რულონები ეს-ეს არის ჩამოვიდა ქაღალდის მეშვიდე მანქანიდან.

ფოტო ს. მაისტერმანისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებიდან

ხალხისა და პარტიის მხარდამხარ

შემოქმედი და ეპოქა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის აპრილის პლენუმმა საბჭოთა მხატვრულ ინტელიგენციას დიდი ამოცანები დაუსახა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ამ ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას მიეძღვნა საქართველოს მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის კრება, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პ. როდიონოვი. მან დაწვრილებით ილაპარაკა პლენუმის შედეგებზე და მწერალ კომუნისტებს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი, როგორც პლენუმის მონაწილემ; ილაპარაკა საბჭოთა ლიტერატურის, როგორც პარტიის ერთგული თანაშემწის დიდ აღმზრდელობითს მნიშვნელობაზე. მაგრამ სხვა რომ აღზარდო, თვითონ უნდა იყო აღზრდილი, უნდა გაგეგებოდეს და ღრმად სწვდებოდე კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, ჩვენს წინაშე მდგომ აქტუალურ საკითხებს...

საქართველოს მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციას თავის თავარ მოვალეობად მიაჩნია ქართველ მწერლებში იდეურ-პოლიტიკური მუშაობა აწარმოოს, ხელი შეუწყოს მათს პროფესიულ დოსტატებას, განაზოგადოს ქართველ მწერალთა მიღწევები, მხარი დაუჭიროს ახალს, სასიცოცხლოს, პროგრესულს; ამხილოს ზოგიერთი როგორც იდეური, ისე მხატვრული ნაკლოვანება და დარაზმოს მწერლობა იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებსაც კომუნისტური პარტია საბჭოთა ლიტერატურას უსახავს.

საქართველოს მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც 1967 წლის 12 დეკემბერს გაიმართა, ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ უკანასკნელ წლებში რეგულარულად არ იმართებოდა გამგეობის პლენუმები, პრეზიდიუმის სხდომები, დისპუტები, დისკუსიები, ახალ ნაწარმოებთა განხილვანი, რომლებსაც თავის დროზე ასეთი შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ქართველი საზოგადოებრიობა. არანორმალურად იქნა მიჩნეული ის გარემოებაც, რომ ბევრი ახალი ნიჭნი შეუფასებელი რჩებოდა. ზოგჯერ საზოგადოებრივი აზრი მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზიდან კულისებში გადაინაცვლებდა ხოლმე. თავი იჩინა ძმობიჭობის რეციდივებმა, ნიჰილისტურმა განწყობილებებმა, მცდარმა ლიტერატურულმა კონცეპციებმა. ჩვენი ლიტერატურული პრესის ფურცლებზე აქა-იქ გამოჩნდა ახალი „თეორიები“ ე. წ. „რთული“ და „პრიმიტიული“ პოეზიის შესახებ. „რთულად“ იგულისხმებოდა იდეურად მოუმწიფარი, გაუგებარი, აბნეული, არაფრის მთქმელი ლექსები, რომლებიც ყალბი ნოვატორობის ბურუსით იმოსებოდა და ზოგჯერ ქებადიდების საგანი ხდებოდა. „პრიმიტიული“ პოეზიად გულისხმობდნენ ისეთ ლექსებს, რომლებიც დღევანდელობას ემსახურება.

გამოჩნდა „თეორიები“ „ინტელექტუალური“, „ფსიქოლოგიური“ პროზის შესახებ, რომლებიც თითქოსდა საკაცობრიო პრობლემებით იყო გატაცებული და მთელ ამ „თეორიულ“ კონცეპციებში სრულიად უგულებელყოფილი იყო ნაწარმოების იდეური ყღერადობა, მისი პარტიულობა, მისი აქტიური ზემოქმედებითი როლი მშრომელი მასების კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ამას წინათ მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის კრებაზე განვიხილეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება „შემოქმედებითს ორგანიზაციებში კრიტიკისა და თვითკრიტიკის მდგომარეობის შესახებ“. მომხსენებელმა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გრიგოლ აბაშიძემ და კამათში გამოსულმა კომუნისტმა მწერლებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ მწერალთა კავშირში გადაეჭრიენ პრინციპულ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, რომ ჩვენი პრესა სავსეა ვალმოსახდელი, მაქებარი წერილებით, რომლებიც არავითარ პრობლემურ საკითხებს არ სვამენ, რომ ჩვენი კრიტიკოსების მაღალკვალიფიციური რაზმი გაურბის თანამედროვე მწერლების შემოქმედებაზე წერას და გვერდს უვლის ლიტერატურის სადღეისო, საეპოქოროვნო საკითხებს, რომ თავი იჩინა თვითკმაყოფილებამ.

ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდა ჭვრეტმან, არაფრისმთქმელ თემებზე დაწერილი ნაწარმოებები. იგრძნობა ისეთი ლექსების მოზღვავება, რომლებიც შორს დგანან იმ საკითხებისაგან, რაც საბჭოთა ადამიანს აღელვებს. აქტიურად არ ხდება ბრძოლა უცსო ლიტერატურული გაფლენების წინააღმდეგ.

ამ ბოლო ხანებში გატარებულმა ღონისძიებებმა გაუმჯობესა მწერალთა კავშირის ლიტერატურული ატმოსფერო. სისტემატურად, რეგულარულად იმართება პლენუმები, პრეზიდიუმისა და სამდივნოს სხდომები, პარტიული კრებები, პარტბიუროს სხდომები, რომლებზეც უმთავრესად შემოქმედებით საკითხებს განვიხილავთ.

გაიმართა პლენუმი დრამატურგიის საკითხებზე. მოეწყო დისკუსიები: „ლიტერატურული კრიტიკა 1967 წლის ლიტერატურულ პრესაში“, „1967 წლის პოეზია“, „პროზა 1967 წლის „ცისკრის“ ფურცლებზე“, „თარგმანის აქტუალური საკითხები“, „ხაბაგშო დრამატურგია“. განვიხილეთ ნოდარ დუმბაძის რომანი „მზიანი ღამე“, ახალგაზრდა პოეტებისა და პროზაიკოსების ახალი ნაწარმოებები და სხვ.

პრეზიდიუმის სხდომებზე რეგულარულად ეწყობა ჟურნალების „მნათობის“, „ცისკრის“, „ლიტერატურნაია გრუზიას“ „ლიტერატურული საქართველოს“ ახალი ნომრების განხილვა.

ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს ცნობილი მწერალი დემნა შონგელია. 1969 წლის იანვარში დაგეგმილია ახალგაზრდა მწერლების რესპუბლიკური შეკრებისა და სემინარის მოწყობა.

პარტორგანიზაციის ღია კრებაზე მოვისმინეთ კომუნისტი მწერლების რევაზ ჯაფარიძის, თეიმურაზ ჯანგულაშვილისა და აპაკი გეფაძის შემოქმედებითი თვითანგარიში. პოეტმა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა კრებაზე წაიკითხა ახალი ლექსები შუა აზიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე. ჩვენი ეს ინიციატივა საკავშირო პრესამაც აღნიშნა. „ლიტერატურნაია გაზეტაში“ დაიბეჭდა წერილი სათაურით: „პარტკრებაზე ლექსებს კითხულობენ“.

განზრახულია გვაქვს პარტორგანიზაციის ღია კრებაზე რეგულარულად მოვისმინოთ კომუნისტი მწერლების თვითანგარიში და განვიხილოთ მათი ახალი წიგნები. ეს ტრადიციად უნდა ვაქციოთ. პარტიულ კრებაზე კომუნისტი მწერლები უფრო პრინციპულად შეაფასებენ თავიანთი კოლეგის შემოქმედებას.

საქართველოს მწერალთა კავშირის პარტორგანიზაცია თვეს რიგებში 115 კომუნისტს აერთიანებს, აქედან 82 მწერალია. ეს დიდი ძალაა, რომლის გამოყენებით საავიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა შეიძლება მაღალ დონეზე ჩავარაროთ.

მწერალთა კავშირში დაკომპლექტებულია ორი მუდმივმოქმედი სემინარი. სემინარის თემაა „ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობა და მხატვრის შემოქმედებითი თავისუფლება“. სემინარებს ხელმძღვანელობენ კრიტიკოსები ლევარსი კალანდაძე და ვლადიმერ მაჭავარიანი.

მაგრამ, ჩვენი აზრით საჭიროა პოლიტიკური განათლების ახალი ფორმები ეძებოთ. ამ რამდენიმე წლის წინათ მწერლებისათვის ჩამოყალიბებულ იქნა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტი, უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები. ხომ არ აკობებდა ასეთი რამ, ან სხვა ფორმით, ჩამოგვეყალიბებინა პარტიის თბილისის კომიტეტთან, სადაც გაგვიერთიანებინა ყველა შემოქმედებითი ორგანიზაცია, შეგვედგინა სპეციალური პროგრამა, ლექციების წასაკითხად მოგვეწვია პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები. ეს დიდად შეუწყობდა ხელს ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის იდეური და პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებას.

მშრომელთა მასებთან, ჩვენს მკითხველებთან მჭიდრო კონტაქტებისა და ურთიერთობის განსაკუთრებულად, რასაც აპრილის პლენუმი გვავალებს, პარტბიუროს ინიციატივით ჩამოვაყალიბეთ საბჭოთა ლიტერატურის სახლთან უნივერსიტეტი. ჩვენს ინიციატივას მხარი დაუჭირა პარტიის კალინინის რაიკომმა და საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციამ. მსმენელები რაიკომმა დაკომპლექტა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების, საქართველოს სსრ პროკურატურის, ქალაქის საბჭოს აღმასკომის, გზატაკეცილების სამმართველოსა და რაიონის სკოლების თანამშრომლებისაგან. უნივერსიტეტის რექტორად დამტკიცებულია მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ბესარიონ ჯღენტი. სამეცნიერო საბჭოში გაერთიანებულია არიან მეცნიერები და მწერლები. მეცადინეობა თვეში ერთხელ ეწყობა.

უკვე ჩავატარეთ შვიდი მეცადინეობა, სადაც განვიხილეთ ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები, გამოჩენილი ქართველი მწერლების გალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, იოსებ გრიშაშვილის, ლეო ქიაჩელისა და კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრება და შემოქმედება. ერთი მეცადინეობა მიეძღვნა ჩვენგან ადრე წასულ, სამამულო ომის ფრონტებზე თუ საომრობლოში გარდაცვლილ ლადო ასათიანის თაობის მწერლებს.

უნივერსიტეტი პოპულარობით სარგებლობს და გარდა მსმენელებისა, სხვებიც ესწრებიან ჩვენს მეცადინეობებს.

ამ დღეებში, პარტორგანიზაციის კრების დადგენილებით, ცნობილ მწერალთა დიდი ჯგუფი იყო ენგურჰესის მშენებლობაზე. მწერლებმა დაათვალიერეს მსოფლიოში უმძლავრესი კაშხალისა თუ გვირაბების მშენებლობანი, შეხვდნენ ენგურჰესის მშენებელ ადამიანებს, გამართეს ლიტერატურული შეხვედრები, შეხვედრები საქმიანი და ურთიერთ სასარგებლო იყო.

ქართველი მწერლები ბევრ შეხვედრას აწყობენ საქართველოს საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, სასწავლებლებსა და სამხედრო ნაწილებში. მაგრამ ეს ჯერ კიდევ სულაც არ არის საკმარ. არც ის არის დასამალავი, რომ ამ შეხვედრებს ზოგჯერ საზეიმო იერი დაჰკრავს ხოლმე. ასეთი შეხვედრები, ზშირად, პატარა იუბილეს შთაბეჭდილებას ახდენს. არ ხდება მწერლის რომელიმე ნაწარმოების საქმიანი, პრინციპული გარჩევა.

საქართველოს მწერალთა კავშირის პარტორგანიზაცია ყველაფერს კეკაეთებს იმისათვის, რომ იბრძოლოს აპრილის პლენუმის დადგენილებათა შესასრულებლად, რომ ჩვენი მწერლობა ღირსეულად შეხვდეს დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავს, ახალი ნაწარმოებებით აღნიშნოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი.

როგორც აღნიშნულია აპრილის პლენუმის შედეგებისადმი მიძღვნილ ჩვენი პარტიული კრების დადგენილებაში, ქართული ხალხთა მწერლობა, როგორც ყოველთვის, ეყო, არის და იქნება რევოლუციური, კომუნისტური იდეებით შთაგონებული მწერლობა.

გივი გოგიჩაიშვილი,
საქართველოს მწერალთა კავშირის პარტბიუროს მდივანი.

დღეს ბორჯომში

გზა აღდგენილია

თანდათან იღება ადრინდელ სა[illegible] ბორჯომ. ამ დღეებში [illegible] ცენტრალი — გზა სადგურ ბორჯომ-პარკიდან ახლო უბანამდე, რომელიც ამ გზაფხულზე ადიდებულმა მტკვარმა დაანგრია. [illegible] 12 ივლისს დამთავრდა, როცა მებეღლობრიგადა [illegible] ასობით კუბმეტრი ქვა და მიწა, გზის მშენებლებმა კი მოასწორეს ეს. ამის შემდეგ გზა გაეხსნა ტრანსპორტს, რომელსაც აქამდე ბორჯომ-პარკიდან ახალ უბანამდე მოძრაობა არ შეეძლო.

ახლა ბორჯომის ორივე მხარე, შეიძლება ითქვას, ერთმანეთს თითქმის მთლიანად დაუკავშირდა. მოსახლეობას შეუძლია ავტობუსით იმგზაურნოს ახლახან მტკვარზე აგებულ მტრედის ხიდამდე, ხიდზე ფეხით გადავიდეს და შემდეგ კვლავ ტრანსპორტით განაგრძოს გზა.

ამ ერთი კილომეტრი კლდის ჩანგიანი გზის გაყვანა რაიონის აქტივისტებმა ხელმძღვანელობით მოკლე ხანში შეძლო ქალაქის საზოგადოებრიობამ.

დ. ჭიჭილეიშვილი,
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი.

ფელეტონი

გმირებსა და დიდების ორდენის სრულ კავალრებს

ჩვენს ქვეყანაში დიდ პატივს სცემენ საბჭოთა კავშირის გმირებს, სოციალისტური შრომის გმირებს, ორდენოსნებს. სპეციალი ჯილდოები მათ მიენიჭა საბრძოლო და შრომითი გმირობისათვის, სოციალისტური სამშობლოს წინაშე მაღალსახელოვნებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 6 სექტემბრის მრავალფეროვნებით მთელი რიგი დამატებითი შეღავათები დააწესა საბჭოთა კავშირის გმირებს, სოციალისტური შრომის გმირებსა და იმათ, ვინც დაჯილდოებულია სამი ხარისხის დიდების ორდენებით. აი როგორია ეს შეღავათები.

საბჭოთა კავშირის გმირებსა და სოციალისტური შრომის გმირებს უფლება აქვთ მიიღონ საყვირი მნიშვნელობის პირადი პენსია. თუ პენსია ადრე დანიშნათ სხვა საფუძველზე — მათ უფლება აქვთ გადავიდნენ პერსონალურ პენსიაზე.

საბჭოთა კავშირის გმირებს, სოციალისტური შრომის გმირებს, პერსონალური პენსიები ენიშნებათ პერსონალური პენსიების დიდ-ბულების შესაბამისად, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა 1956 წლის 14 ნოემბრის დადგენილებით, როცა მამაკაცები მიაღწევენ 55 წლის ასაკს, ქალები — 50 წლის ასაკს და დამოუკიდებლად ასაკისა, თუ ისინი იმუშავებენ ანრიან.

ასეთი პენსიების დანიშვნის შუამდგომლობა უნდა აღძრან სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მოკავშირე რესპუბლიკურმა სამინისტროებმა და უწყებებმა, სამხარეო, საოლქო, ავტონომიური ოლქების, საოკრუგო და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში) საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკურმა, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო და საქალაქო) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში), პარტიულმა ორგანოებმა, საკავშირო პროფსაბჭომ და პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა.

პერსონალური პენსიის ოდენობა განისაზღვრება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დამსახურების, შრომისუნარიანობის დაკარგვის, მატერიალური უზრუნველყოფის, კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრების რაოდენობის მიხედვით. საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსია წესდება არაუმეტეს 200 მანეთისა.

ეს პენსიები აგრეთვე შეიძლება დანიშნოს მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში გარდაცვლილი გმირის ოჯახის შიმაღლ წევრებს (მათ შორის იმითაც, ვისაც წინათ პენსია დანიშნათ სხვა საფუძველზე):

შვილებს, ძმებს, დებსა და შვილიშვილებს 16 წლის ასაკამდე (მოსწავლეებს — 18 წლამდე), ან ასაკის მიუხედავად, თუ ინვალიდები გახდნენ 16 წლამდე, ხოლო მოსწავლენი — 18 წლამდე. ძმებს, დებსა და შვილიშვილებს ეს უფლება ენიჭებათ იმ შემთხვევაში, თუ არ ჰყავთ შრომისუნარიანი მშობლები.

მამას, დედას, ცოლს (ქმარს), თუ მიაღწიეს: მამაკაცებმა 55 წელს, ქალებმა კი 50 წელს, ან არიან ინვალიდები.

ერთ-ერთ მშობელს ან მეუღლეს ასაკისა და შრომისუნარიანობის მიუხედავად, თუ არ მუშაობს და უფლის გარდაცვლილი გმირის შვილებს, ძმებს, დებსა თუ შვილიშვილებს, რომლებსაც არ შესრულებიათ 8 წელი.

პაპებს და ბებიებს, თუ არავინ არა ჰყავთ, ვინც კანონით ვალდებულია ისინი აჩაჩინოს.

შვილად ამყვანს მშობლებთან თანაბარი პენსიის უფლება აქვს, ხოლო ნაშვილებს — დედაძმ შვილებთან თანაბარი უფლება. კარსრულწოოდანებს, რომლებსაც პენსია დანიშნათ მარჩენალის სიკვდილის გამო, ეს უფლება უნარჩუნდებათ, თუ მათ შვილად ამყვანენ.

ცალკეულ შემთხვევაში გარდაცვლილი გმირის შვილებს, რომლებიც უმაღლეს ან საშუალო სასწავლებლებში სწავლობენ, შეიძლება დაენიშნოთ პენსია 18 წლის ასაკის შემდეგაც.

საკავშირო მნიშვნელობის პერსონალურ პენსია მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში შემდეგი ოდენობით ეთმაზნება გარდაცვლილი გმირის ოჯახს:

თუ ოჯახში ერთი ან ორი შრომისუუნარო წევრია — გარდაცვლილი გმირის პენსიის, ან იმ პენსიის 70 პროცენტი, რომელსაც მას დაუნიშნავდნენ, თუ ოჯახში სამი ან მეტი შრომისუუნარო წევრია — 100 პროცენტი.

ოჯახის ყველა წევრის პერსონალური პენსიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 200 მანეთს. ოჯახის ფიზიკური წევრის წილს განსაზღვრავს პენსიის დანიშნული ორგანო.

საბჭოთა კავშირის გმირებს, სოციალისტური შრომის გმირებსა და სამი ხარისხის დიდების ორდენებით დაჯილდოებულ პირებს საცხოვრებელი ფართობი ეძლევათ დაწესებული ნორმებით პირველ რიგში. საცხოვრებელი ფართობის ქირას ისინი იხდიან მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დაწესებული ბინის ქირის 50 პროცენტის ოდენობით. თუ აქვთ საცხოვრებელი ფართობის შეღავათიანი ქირის სხვა საფუძვლები, შეიძლება ისარგებლონ ერთი შეღავათით თავიანთი არჩევით. კომუნალური მომსახურების საფასურს (განათება, გათბობა, გაზი და სხვ.) იხდიან საერთო საფუძვლებით. 10 კვადრატულ მეტრამდე დამატებითი საცხოვრებელი ფართობისა და 13 კვადრატულ მეტრამდე შედმეტი ფართობის ქირას იხდიან ცალმაგად.

შენობებისათვის, სადაც ცხოვრობენ გმირები და დიდების ორდენის სრული კავალრები და რომლებიც ეკუთვნით მათ ან მათი ოჯახების წევრებს ან მათი საერთო საკუთრებაა, იხდიან გადასახადის ნახევარს. გარდა ამისა, მიწის რენტის განაკვეთი 50 პროცენტით მცირდება.

კოლმეურნეთა და სასოფლო-სამეურნეო არტელის არაწევრთა მეურნეობანი, რომელთა შემადგენლობაში შედიან საბჭოთა კავშირის გმირები, სოციალისტური შრომის გმირები და სამი ხარისხის დიდების ორდენებით დაჯილდოებული პირნი, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნახევარს იხდიან.

გმირებსა და დიდების ორდენის სრულ კავალრებს აქვთ უფლება პირადი უფასო მგზავრობისა წელიწადში ერთხელ (იქით და აქეთ) რკინიგზის ტრანსპორტით ჩქარი და სამგზავრო მატარებლების რბილი ვაგონებით, წყლის ტრანსპორტით — ჩქარი და სამგზავრო ხაზების (პირველი კლასის კიუტებით პირველი კატეგორიის ადგილები), აგრეთვე საავიაციო ან საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით. მგზავრობის უფლების ტალონების წიგნაკებს იძლევიან რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სამხედრო მოსამსახურეებს ამ წიგნაკებს აძლევს ჯარის ნაწილების ხელმძღვანელობა. გაგზავრებისა ადგილიდან ჩასვლის პუნქტამდე მგზავრს შეიძლია ისარგებლოს რამდენიმე სახეობის ტრანსპორტით.

საბჭოთა კავშირის გმირებს, სოციალისტური შრომის გმირებსა და სამი ხარისხის დიდების ორდენებით დაჯილდოებულ პირებს უფლება აქვთ უფასოდ ისარგებლონ შიდასაქალაქო ტრანსპორტით (ტრამვაით, ავტობუსით, ტროლეიბუსით, მეტროპოლიტენით, წყლის გადასასვლელებით, სოფლად კი — შიდარაიონული ხაზების ავტობუსებით. მათ ეძლევათ ერთიანი ნიმუშის სამგზავრო ბილეთი.

სახელმწიფომ იზრუნა ამ პირთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. ყოველწლიურად მათ ეძლევათ სანატორიუმებისა ან დასასვენებელი სახლების უფასო საგზური. მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები და სამხედრო მოსამსახურეები საგზურს იღებენ მუშაობის ადგილის, პენსიონერები — სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში.

აქ ჩამოთვლილი შეღავათებით სარგებლობის შესახებ ყველა ცნობის მიღება შეიძლება ადგილობრივი საბჭოებიც ალმასკომებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებში.

(ეურნალ „სოვეტი დეპუტატოვ ტრუდიაშჩიხსია“ № 5).

ბასი წლის სკოლა

სიახლე: სკოლაში მეორე კლასიდან ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლებაში ჩაბმულია 300-მდე მოსწავლე. არც ერთი ოროსანი არ არის მათ შორის.

მათემატიკა გაძლიერებით ისწავლება მე-3 კლ.-ში და.

სწავლა-აღზრდის საქმეა დიდი სიყვარულთ ეკიდებიან: ცისანა ეფენია, ლამარა გვათუა, გელი ბუკია, მიხეილ საჯაია, როდიონ რაფავა, ლავრენტი ლაბარია, ვალენტინა შონია, ვლადიმერ ქორთუა, თინა გოგია, ელ. ფონია, ი. გრიგოლია, აკ. ჭეურღელია, რეპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ბ. კვარაცხელია, დ. ლეფუა, ვ. ჯიქია, მ. სარჩიმელია და სხვები.

მთავარი ყურადღება მიექცა სწავლების ხარისხს. ამაღლდა მოსწავლის აკადემიური მომზადების დონე. გარკვეული მუშაობა ტარდება იმისათვის, რომ მოსწავლეს გამოუმუშავდეს ფუტექსტოდ და „უშპარგალკოდ“ — დამოუკიდებელი მსჯელობის ჩვევა.

ანტონ ფურცელაძის ხელმძღვანელობით დაარსებულ-ია თეატრმა 1868 წელს საგანგებო ნარმოდგენა დადგა და შეგსაგალი 40 მანეთი ზუგდიდის ბიბლიოთეკას გადასცა. ამჟამად წიგნის ფონდის რაოდენობა შეუჯარებლად დიდია.

ბიბლიოთეკაში ასლა 27 ათას 506 წიგნია. ბიბლიოთეკის გარშემო შემოკრებილია 700 მოსწავლე.

სიახლეთა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესება. გარდა ამისა, რომ მშობლიური ლიტერატურისა და სხვა სასწავლო დისციპლინების მასალებზე ხდება მოზარდთა ესთეტიკური იდეალებით ფორმირება, ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურება სკოლასთან შექმნილი მუსიკალური შეიდწლედი.

მუსიკალური შვიდწლედი ერთიანებს 205 მოსწავლეს. ჩვენი სკოლის 150 ბავშვი სწავლობს კულტურის სამინისტროს ზუგდიდის მუსიკალურ შვიდწლედში.

ცეკვისა და სიმღერის მოსწავლეთა თვითმოქმედ მძლავრ კოლექტივს დირიჟორობს და ასწავლის ბავშვთა მხატვრული შემოქმედების მეტუთე რესპუბლიკური ოლიმპიადის ლაურეატი და პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოებული მასწავლებელი სოფიო ბერიძე.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ მოსწავლეთა ფიზიკურ-ტურულ აღზრდას. მეათე წელია ზედიზედ მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სახეობებში ჩვენი სკოლის მოსწავლეთა სპორტული კოლექტივი ჩემპიონია და ფლობს გარდამავალ თასს. მოსწავლეთა სპორტულ-ფიზკულტურულ აღზრდას კარგად უძღვებიან მასწავლებლები ალიოშა დიდინელი და თამარ ჭითანავა.

არსებობს ასი წლისთავის იუბილეს სკოლა უპასუხებს მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით, აღზრდის დონის ამაღლებით, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება-განმტკიცებით, საყოველთაო საშუალო სწავლების განხორციელებით.

განათლების ეს დიდი კერა, რომელმაც ქვეყანას ცნობილი მეცნიერები და მწერლები, საზოგადო მოღვაწეები მისცა, მიღწეულს არ შერერდება.

შ. ხუბულავა,
ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

• • •

სურათზე: ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის ხედი.

ფოტო ვ. ყუფუნიასი.

ხალხისა და პარტიის მხარდამხარ

შემოქმედი და ეპოქა

ბერტოლტ XXIII ყრილობამ უპირველესი მნიშვნელობა მიანიჭა სოფლის მეურნეობის განვითარებას. სკკ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის მიერ შემუშავებულ ეკონომიურ ღონისძიებათა სისტემის საფუძველზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების დამახასიათებელი თვისებურებაა მისი ცალკეული დარგების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია. მეცხოველეობის პროდუქტების სამრეწველო საფუძველზე წარმოების სპეციალიზაციის საყურადღებო გამოცდილება შეიძინეს მოლდავეთის სსრ კოლმეურნეობებმა. ამ გამოცდილების შესასწავლად მოლდავეთში იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: სამგორის სანაშენე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. ბორეაძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევეხანურეობისა და მეხილეობის სამმართველოს უფროსი ი. ანანიაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ჯანიაშვილი, სართიჭალის მებოსტნეობა-მერქანმცოდნეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი ვ. ბარაშვილი, რესპუბლიკური გაერთიანება „საქროფფერმერიკის“ მეცხოველეობის სამმართველოს უფროსი მ. ბარაბაძე, „საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მთავარი ინჟინერის მოადგილე გ. ზალდასტანიშვილი, საქართველოს სასწავლო-კვლევითი ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ბ. ჯაშარიძე. მოლდავეთში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ ქვემოთ ვმეჯლისავთ ამ ჯგუფის ხელმძღვანელის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგის ვ. ბაღლაკელიძის წერილს.

□ □

მოლდავეთ რესპუბლიკაში ყოფნის დროს ქართველმა სპეციალისტებმა დაათვალიერეს მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ისინი გაეცნენ სამუშაოთა ორგანიზაციასა და ცხოველთა მოვლის მეთოდებს კოტოვაკის რაიონის საკოლმეურნეობათშორისო მეცხოველეობის ფერმაში, ლუზოვსკასა და რიბნიცის რაიონების მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის გასაუქმებელ საკოლმეურნეობათშორისო მეურნეობებში, მიკაუცის რაიონის სანაშენე საჩვენებელ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში, ორგეევის რაიონის ლაზოს სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფაბრიკაში, იუჯნენ კიშინიოვის მევენახეობისა და მეღვინეობის სახსრალო მეურნეობასა და მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში.

დიდ ინტერესს იწვევს მეცხოველეობის სპეციალიზაციის პრაქტიკა და განსაკუთრებით საკოლმეურნეობათშორისო გასასუქებელ მეურნეობათა ორგანიზაცია. ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირობებში მოლდავეთ მეცხოველეთა გამოცდილების გამოყენება უდავო საწარმოო წარმატებაა მოიტანს.

საკოლმეურნეობათშორისო საწარმოო მეურნეობათა შექმნა მოლდავეთში 1961 წელს დაიწყო. ახლა რესპუბლიკაში 18 ღორის გასასუქებელი მეურნეობა, 10 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასასუქებელი მეურნეობა და მოზარდეულის გამოსაზრდელი პუნქტია. კოლმეურნეობათა კოოპერირებამ ნებაყოფლობითს საწყისებზე ბორცის წარმოების გადიდებისა და მისი ღირებულების გაიაფების მიზნით დადებითი შედეგები მოიტანა.

კარგად არის ორგანიზებული კოტოვსკის რაიონის ღორის გასასუქებელი საკოლმეურნეობათშორისო მეურნეობა, რომელიც 16 კოლმეურნეობას ეკუთვნის. მეურნეობა კოლმეურნეობისაგან იღებს 35-40 კილოგრამიან ბუსუკებს და 70-90 დღის შემდეგ წუთებს მათ სუქებას. (თითოეული ღორის წონა 100-150 კილოგრამია). მეურნეობას საპროექტო სიმძლავრე 11 ათასი სული ღორია წელიწადში. მეურნეობას აქვს 280 ჰექტარი სახნავ-სათესი, რაც ცხოველებს უბრუნველყოფს საკმაო რაოდენობის სხვადასხვა საკვებით. მოვლა-შენახვისა და საკვებმოპოვების პროცესების კომპლექსურმა მექანიზაციამ ხელი შეუწყო სახსრების ხარჯვის მკვეთრად შემცირებას, მომსახურე პერსონალის შრომის ნაყოფიერების გადიდებას. გასუქებული ღორის ერთ ცენტნერ წონამატებაზე სულ იხარჯება 0,74 კაცდღე, ცენტნერი ხორცის თვითღირებულება 69 მანეთია.

მეურნეობა, ისევე როგორც სხვა ასეთი ტიპის საკოლმეურნეობათშორისო გაერთიანებანი, რენტაბელურია. შემოსავალი ნაწილდება კოლმეურნეობებს შორის წელიწადში ორჯერ გასასუქებლად ჩაბარებული პირუტყვის ცოცხალი წონის პროპორციულად.

მოლდავეთა გამოცდილება

□ საზოგადოებრივ მეურნეობათა სპეციალიზაცია და შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია. □ საკოლმეურნეობათშორისო მეურნეობების სარგებლიანობა. □ მეპაიე კოლმეურნეობები ზარალის ნაცვლად მოგებას იღებენ. □ ცენტნერი რძის თვითღირებულება 16 მანეთი და 44 კაპიკია. □ ცენტნერი ღორის ხორცის წარმოებაზე იხარჯება 0,74 კაცდღე. □ ცენტნერი ღორის ხორცის თვითღირებულება 56 მანეთი და 70 კაპიკი.

დიდ საწარმოო წარმატებას მიაღწევენ რიბნიცის რაიონის ღორისა და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასასუქებელმა საკოლმეურნეობათშორისო მეურნეობამ. სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის სწორად წარმოების, შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის შედეგად ამ მეურნეობის მეპაიე კოლმეურნეობებმა გამონახეს მეცხოველეობის რენტაბელობის გადიდების საიმედო გზა. კოლმეურნეობებმა ერთად უფრო ადვილად გამონახე

საქართველოს ცხოვრება

ურღვევი მეგობრობა

იოზეფ სმრკოვსკის ინტერვიუ

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაციის მეთაურმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარემ, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა იოზეფ სმრკოვსკიმ ინტერვიუ მიცა საქართველოს კორესპონდენტს ვ. ამალეევს და „იზვესტიის“ კორესპონდენტს კ. სმირნოვს. მან კორესპონდენტებს გაუზიარა საბჭოთა კავშირში ყოფნის შთაბეჭდილებანი.

ი. სმრკოვსკიმ თქვა, რომ მოსკოვში, ვოლგოგრადში, როგასა და ლენინგრადში ყოფნისას დელეგაციის წევრები ერთხელ კიდევ დაწმუნდნენ, თუ რა უდიდესი მასშტაბებით მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის სწრაფწელო განვითარება, რომლის ტემპები სულ უფრო ტაულობს. სსრ კავშირის ინდუსტრია, განაცხადა მან, მარტო მოცულობით კი არ იზრდება, არამედ პროდუქციის ხარისხსაც სულ უფრო აუმჯობესებს.

დელეგაციის მეთაურმა განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიელ პარლამენტარებს მეტად ეამათ, როცა ახლა, თუ რა სათუთად ინახავენ საბჭოთა ადამიანები მებრძოლ ოფიცერთა და იმათ ხსოვნას, ვინც დაეღუპა უკანასკნელი ომის დროს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თქვენც ჩვენც ეს გვახსენებს მძიმე წარსულს, თქვა მან. მაგრამ ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანებმა ეს ეროვნებანი ომი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თქვენც ჩვენც ეს გვახსენებს მძიმე წარსულს, თქვა მან. მაგრამ ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანებმა ეროვნებანი ომი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თქვენ ეს ბრძოლა ომად ეწოდებოთ, ჩვენ ეს ბრძოლა ეროვნული-გამანთავისუფლებელ ომად ეწოდებ. ეს ომი ეროვნული-გამანთავისუფლებელ ომად ეწოდებ,

სოფიაში, ფესტივალზე

წელს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ სოფიაში გაიმართება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX საერთაშორისო ფესტივალი. უკვე ცნობილი გახდა იმათი სახელები, ვინც შედის საბჭოთა კავშირის მსახიობთა დელეგაციაში. იოლი როდი იყო მათთვის ნანატრი მიზნის მიღწევა. მათ გაიარეს საქალაქო, რაიონული, საოლქო და რესპუბლიკური კონკურსები, რომლებშიც ათასობით ნიჭიერი ახალგაზრდა მონაწილეობდა.

ესენი იყვნენ როგორც პროფესიონალი, ისე თვითმოქმედი მსახიობები.

სოფიაში საბჭოთა დელეგაცია წარსდგება კლასიკური და საესტრადო ხელოვნების ყველა ჟანრით. მაყურებელთა წინაშე გამოვლენ საბჭოთა ბალეტისა და ოპერის მსახიობები, სახალხო გუნდები და ცეკვის კოლექტივები, საესტრადო შემსრულებლები და ჯაზები.

დღეს მკითხველებს ვაცნობთ საბჭოთა მხატვრული დელეგაციის რამდენიმე წევრს.

• • •

სურათებზე: მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი ტ. გრინდენკო (მარცხნივ); ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ლ. სოლიანიკი (მარჯვნივ), მოსკოვის ესტრადის მსახიობი-მიმი ა. ჟიტომირსკი (ქვემოთ მარცხნივ) და ლიტვის სასულე ორკესტრი „ტრამიტასი“.

ფოტო რ. ალფიმოვისა (ახალი ამბების ხაიგენტო).



დღეს აჭარაში

გვაცნობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი მ. გორგილაძე

ეროვნული ტრადიცია

ბათუმის რაიონი. ახალშენელ მეჩაიეებს მხარში უდგას ახალგაზრდობა. მოსწავლე ნაზი კონცელიძემ, მაგალითად, გადაწყვიტა კომკავშირის საიუბილეო წელს მოკრიფოს 1.300 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ნაზომ სიტყვა საქმედ აქცია, ჩაის კრეფის სეზონის დაწყებიდან სულ რაღაც ერთი თვე გავიდა, და მან უკვე მოკრიფა 1.200 კილოგრამი. გოგონა ცდილობს ნაკისრი ვალდებულების გადამეტებით 1 ტონა ფოთოლი მოკრიფოს.

იღებენ ფილმს

საქართველოს ალმით ახლა მრავალი ხომალდი სერავს მსოფლიოს ოკეანეებსა და ზღვებს. სასახელოდ დგანან შრომისს ვახტანგ ქართველი მეზღვაურები.

როგორ იქმნებოდა პირველი ქართული სანაოსნო, როგორ ცხოვრობენ და შრომობენ საქართველოს სანაოსნოს მეზღვაურები, ამაზე მოგვითხრობს სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, რომელსაც საქართველოს ტელევიზია იღებს.

ფილმზე მუშაობენ რეჟისორი რევაზ ჯიბლაძე და ოპერატორი სოსო შენგელია. რომლებსაც საზღვაო გადაღების საკმაო გამოცდილება აქვთ. მათს მოკლემეტრაჟიან ფილმებს „აფრიკის გარშემო“, „თავისუფალი ჰავანა“ და სხვ. წარმატება ხვდა.

გადამღები ჯგუფი საქართველოს სანაოსნოს სხვადასხვა ხომალდზე იმოგზაურებს. კადრებს გადაიღებენ საფრანგეთის, გერმანიის, ჰოლანდიის ნაპირებში, სხვადასხვა ქვეყნებში და ზღვებზე.

ქატარლა თბილისისათვის

ზორს გაითქვა სახელი ბათუმელმა ყუალაქვეშა-ფრთიანმა კატარლა „ვოლგამ“. იგი მსოფლიოს ოცზე მეტი ქვეყნის სანაპირო და სამდინარო ფულებს სერავს.

ახლახან ბათუმელებმა თბილისში გაგზავნეს კიდევ ერთი სწრაფმავალი კატარლა „ვოლგა“. მისი სარგებელი იქნება თბილისის „ზღვა“.

დ. ხახუბაიშვილი
— ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი ისტორიის განყოფილების უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **დავით ახმედის-ძე ხახუტაიშვილმა** ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„უფლისციხე და იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები. ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დამტკიცა **დ. ა. ხახუტაიშვილისათვის** ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

სპორტის ამბები

ლიდერთა მატჩი

გუშინ მოსკოვში გაიმართა საიუბილეო ჩემპიონატის პირველი წრის ცენტრალური მატჩი ფეხბურთში. ლიდერის — დედაქალაქის „სპარტაკის“ წინააღმდეგ თამაშობდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი კიევის „დინამო“.

პირველ ტაიმში სპარტაკელები გარკვეულ უპირატესობას ინარჩუნებდნენ და ორი ბურთი გაიტანეს (**ანდარაცუმიანი** და **ივლენკოვი**). მეორე ნახევარში **სპარტა** და **პილიპჩუკმა** წონასწორობა აღადგინეს — 2:2. დარჩენილ წუთებში შეტოქეებმა თითო გოლით გაზარდეს ანგარიში (**ოსიანინი** და **პუზაჩი**) და ეს საინტერესო მატჩი ფრედ 3:3 დამთავრდა.

„ა“ კლასის მეორე ჯგუფში

„ა“ კლასის მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივები განაგრძობენ ბრძოლას.

მესამე ქვეჯგუფში ტყიბულის „მეშახტე“ ლენინაკანს ეწვია და პაექრობა ჰქონდა „შირაკათან“. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

გასულითი თამაში ჰქონდა აგრეთვე თბილისის „ლოკომოტივს“ ვოლგოგრადის „ტრაქტორთან“. წარმატება მასპინძლებს ხვდათ ანგარიშით 2:0.

დღეისათვის სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი უჭირავს სვერდლოვსკის „ურალმაშს“, რომელსაც 12 თამაშიდან 18 ქულა აქვს.

დიდი სტარტი

სტარტი აიღო წლევანდელი სეზონის ერთ-ერთმა მასობრივმა ასპარეზობამ — კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილმა საქართველოს, მოსწავლეთა მეოცე საიუბილეო სპარტაკიადამ. შეხვედრები მიმდინარეობს თბილისის, სოხუმისა და ფოთის სასპორტო ბაზებზე.

ეს არის ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლე სპორტსმენების ძალთა შემოწმება და მზადება საკავშირო სპარტაკიადისათვის, რომელიც მომავალ წელს გაიმართება. წელს რესპუბლიკურ სპარტაკიადაში გამოდიან მხოლოდ მერვე და მეცხრე კლასების მოსწავლეები.

მოსწავლე სპორტსმენები ერთმანეთს პირველობას შეიცილებიან სპორტის 20 სახეობაში. წელს კომპლექსურ ჩათვლაში შეტანილია მხატვრული ტანვარჯიში. პირველ ჯგუფში გამოდიან თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისისა და რუსთავის გუნდები, მეორე ჯგუფში — დანარჩენი გუნდები.

პირველ ჯგუფში პროგრამით გათვალისწინებულ ოცი სახეობიდან ჩათვლაში შედის 12, ხოლო მეორეში — 8. აუცილებელი ჩასათვლელი სახეობებს წარმოადგენენ — მძლეოსნობა, ცურვა და სპორტული ტანვარჯიში.

უკვე დაიწყო ასპარეზობა კალათბურთში, თავისუფალ ჭიდაობაში, ვოლოსპორტში, ფრენბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში, ხელბურთში, ფარიკაობაში, ფეხბურთში და მაგიდის ჩოგბურთში.

ფალავნები

ახმეტა. (სპეც. კორ.). სამ დღეს გრძელდებოდა რესპუბლიკური პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

უმჩატეს წონაში წარმატება ხვდა თბილისელ **გ. გიორგაძეს.** მომდევნო სამ წონითს კატეგორიაშიც პირველი ადგილი თბილისელებმა დაიკავეს. ესენი იყვნენ— **ბ. ფიფიაშვილი, ნ. ბეინიშვილი** და **ზ. გუტაშვილი.** ქვესაშუალო წონაში ჩემპიონი გახდა გორელი **გ. გაგუნაშვილი.** საშუალო წონაში უძლიერესი იყო **რ. ქაიხოსროშვილი** (გორი). ქვემძიმე წონაში ჩემპიონი გახდა თბილისელი **შ. გულიაშვილი.** მძიმე წონაში წარმატება ხვდა **ო. ქიბროფაშვილს.**

რამდენიმე სტრიქონით

● **მოსკოვის** საჭადრაკო ჩემპიონატის მეცამეტე ტური აღინიშნა მოულოდნელობით. ეს იყო ლიდერის **დ. ბრონშტეინის** დამარცხება **გულკოსთან. პეტროსიანსლიბერზონის** პარტია ყაიმით დამთავრდა. 13 ტურის შემდეგ ჩემპიონატს ორი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან მსოფლიოს ჩემპიონი **ტ. პეტროსიანი** და გროსმაისტერი **დ. ბრონშტეინი,** რომელებსაც 9-9 ქულა აქვთ.

● **ოლიმპიური** შესარჩევი მატჩი ფეხბურთში მაროკოსა და განის გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 1:1. ამ გუნდების განმეორებითი მატჩი შედგება ივნისის ბოლო რიცხვებში აკრაში.

● **საბჭოთა** ჩოგბურთელები, რომლებიც კენტის საგრაფოს ჩემპიონატში გამოდიან, მეოთხედფინალში გამოეთიშნენ ერთეულთა ასპარეზობას. **გ. ბაშეევამ** წააგო შეხვედრა ინგლისელ **ენ ჯონსთან** 3:6, 1:6, **ნ. ვოლკოვმა** — ავსტრალიელ **ლიუ ჰაოდისთან** — 2:6, 6:8.

● 16 ივნისს შტუტგარტში გაიმართება საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ბრაზილიის ნაკრებ გუნდს შორის.

მექსიკო ემზადება სპორტის ზაფხულის სახეობების XIX ოლიმპიური თამაშებისათვის.

განაღებულია მუშაობა „ოლიმპიური სოფლის“ მშენებლობაზე. იქ იცხოვრებენ ოლიმპიადის მონაწილენი და სტუმრები. შემდეგ ეს ადგილი მექსიკის დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საცხოვრებელი რაიონი იქნება. წესრიგში მოჰყავთ და აახლებენ ძველ სპორტულ კომპლექსებს, მათ შორის „აცტეკის“ სტადიონს, რომელზეც გაიმართება ძირითადი შეჯიბრებები. შენდება ახალი სპორტული ნაგებობანი.

„აცტეკის“ განახლებულ სტადიონზე უკანასკნელი სამუშაოები წარმოებს. წესრიგში მოჰყავთ ფეხბურთის მოედნის მწვანე საფარი. ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე აქ არ გაიმართება არავითარი შეჯიბრება. სურათზე თქვენ ხედავთ „აცტეკის“ სტადიონის ერთ ნაწილს.

ფოტო ე. სარატოვისა (საკრედსის ფოტოქრონიკა).

მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაცია

ამ უკანასკნელ დღეებში სომხეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ზანგეზურის მთიან რაიონებში იგრძნობოდა ძლიერი მიწისქვეშა ბიძგები.

□ □

სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკისა და საინჟინრო სეისმოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა **ა. გ. ნაზაროვმა** გვაცნობა, რომ **ძირითად მძლავრ მიწისქვეშა ბიძგებს მოჰყვა უფრო ნაკლებ ინტენსიური ბიძგები, რომლებიც თანდათან ნელდებოდა. მიწისძვრის ეპიცენტრში, რომელიც მდებარეობს ზანგეზურისა და ბარგუშატის ქედების შესაყარზე, დაზუსტებული მონაცემებით, ბიძგების მაქსიმალური ინტენსივობა 8 ბალს აღწევდა.**

მიწისქვეშა ბიძგებისაგან დაზარალდა ქალაქი **კაჯარანი** და **მთელი რიგი ახლომახლო სოფლები.** აქ დაზიანდა საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობები. **ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.**

პირველსავე დღეს მიწისძვრის რაიონში ჩავიდა მთავრობის კომისია. კომისიის წევრებმა რესპუბლიკური და რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად იხმარეს სასწრაფო ღონისძიებანი სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისათვის.

ერთ დღე-ღამეში მთის მდინარე ვოხჩის ხეობაში შეიქმნა კარვების ქალაქი. აღდგენილია კავშირგაბმულობა, წყალსადენი, ენერგომომარაგება. ღაფანის, სისიანის, აზიზბეკოვისა და მეგრის რაიონებში იგზავნება საშენი მასალით დატვირთული შემადგენლობანი. ამ რაიონებისათვის გამოყოფილია 40 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის სტანდარტული სახლები, უკვე მიღებულია ათასამდე კარავი.

სტიქიური უბედურების ადგილზე ჩავიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ი. ტ. ნოვიკოვი,** სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ე. ჭოჩინიანი,** სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ა. მურადიანი,** მთელ რიგ საკავშირო უწყებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

ასეთი ინტენსივობის მიწისძვრა ამ მხარეში მოხდა 1931 წლის აპრილში.

რ. ყარალეზიანი,
საკრედსის კორ.

ლაპარაკობს ერევნელი უჩვეულოდ ლამაზი

ლაპარაკობს ლენინი

რადიო

კვირა, 16 ივნისი

პირველი პროგრამით

06.35 — კონცერტი „ჩემი სამშობლოს სიმღერები“, 08.30 — ი. დუნაევსკი. მუსიკა კინოფილმებიდან, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — დვორჟაკი. სლავური ცეკვები, 11.30 — რადიოფურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 12.15 — მუსიკალური რადიოფოფაზ, 12.45 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 13.00 — „სიტყვების სამყაროში“ (მოსკოვი), 14.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „კარავი მტკვრის პირას“, 14.45 — სიმღერები მედიცინის მუშაკთა თვითმოქმედი კოლექტივის შესრულებით, 15.00 — კონცერტის ტრანსლაცია ერევნიდან, 15.40 — პ. ზამოისკი. „ლაპარაკობს ლენინი“ (მოგონება), 16.00 — ციკლიდან „გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები“. — არტურ რუბინშტეინი, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.10 — გადაცემა „მედიცინის მუშაკის დღე“, 19.00 — რადიოკომპოზიცია „მუსიკალური ქუთაისი“, 20.20 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი ლენინგრადიდან. ერთმანეთს ხვდებიან საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები, 20.45 — მიკროფონთან — მხატვრული კითხვის ოსტატები, 21.30 — საოპერო მუსიკის მოყვარულთათვის, 23.30 — პოპულარული სიმღერები.

ტელევიზია

● **შაბათი, 15 ივნისი**

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — „ბელოცავთ დიბადების დღეს“ მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ზღვაზე“ (გადმოცემა სოჭიდან), 12.00 — „მელოდიიდან მელოდიამდე“ — საესტრადო კონცერტი, 12.30 — კინონარკვევი, 12.40. — სატელევიზიო სპექტაკლი „სასამართლო ქრონიკა“ (პირველი ნაწილი), 13.30 — მხატვრული ფილმი „ხუთი დღე, ხუთი ღამე“, 15.10 — ბავშვებისათვის სატელევიზიო ოპერეტი „ეხები და რუხი მელი“, (გადმოცემა პეტროზავოდსკიდან), 15.55 — სიმღერის ფესტივალი— მუსიკალური კოლექტივების კონკურსი (გადმოცემა კიშინიოვიდან), 17.30 — ახალი ამბები, 17.30 — კონცერტი ბავშვებისათვის, 18.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვაზო, შვილივით ნაზარდო“. საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები (ფერადი ტელევიზიის გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — გადაცემა (საბჭოთა წიგნი— ხალხის სამსახურში), 20.40 — უკვდავი რესპუბლიკა (4 ივნისის გადაცემის გამეორება), 21.00 — მუსიკალური მხატვრული ფილმი „მოხეტიები სვის კრეფაზე“, 22.30 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 23.00 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი (გადმოცემა ლენინგრადიდან).

● **კვირა, 16 ივნისი**

09.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 10.15 — „მადლიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — ვ. ცაგარეიშვილი. საბავშვო ოპერა „ბრიყვი წრუწუნა“ — ცხაკაიას რკინიგზის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა მონაწილეობით (4 ივნისის გადაცემის გამეორება), 11.15 — „ცეროდელას ეკრანი“, 11.35 — „ჯიბას ლამპრავენ პიონერები“ (13 ივნისის გადაცემის გამეორება), 12.05 — მხატვრული ფილმი „კატა და ნიანგი“, 13.15 — სატელევიზიო ფილმი „სწავლა, სწავლა და სწავლა“, 13.45 — სატელევიზიო სპექტაკლი „სასამართლო ქრონიკა“ (მეორე ნაწილი) ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა, 14.25 — სატელევიზიო ჟურნალი „თქვენთვის, ქალებო!“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 15.00 — „ცოდნა“ — სამეცნიერო-შემეცნებითი პროგრამა, 15.30 — სატელევიზიო ფილმი „საზღვრების გასწვრივ“, 16.00 — მუსიკალური კიოსკი, 16.30 — კინონარკვევი მაჭანკლები“ (ქართულ ენაზე), 16.55 — გადაცემა. საბჭოთა არმიის მეომრებისათვის (ეძღვნება სამხედრო ეკამებს), 17.30 — გადაცემა „ქართული ფილმის მარკეთ“, 18.10 — კინონარკვევი, 18.40 — საუბარი „მედიცინის მუშაკის დღე“, 19.00 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში — საბჭოთა კავშირი-ავსტრია (გადმოცემა ლენინგრადიდან), 20.45 — ერთი საათი მსოფლიოს გარშემო“, 21.45 — ნარკვევი „მარად ცოცხალი აწკარები“, 22.05 — „მოამბე“ —საინფორმაციო პროგრამა, 22.15— პროგრამა მეორე დღისათვის, 22.20 — „მუსიკალური სუვენირები“ — საესტრადო გასართობი პროგრამა.

● **ორშაბათი, 17 ივნისი**

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 12.00 — მუსიკალური მხატვრული ფილმი მოხეტიები სვის კრეფაზე“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — განცხადებები, 18.20 — ბავშვებისათვის „ჩხირკედელას სახელოსნო“, 18.50 — გადაცემა — პროპაგანდისტი მოვიდა“, 19.10 — კონცერტი, 19.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.05 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.10 — მხატვრული ფილმი „გასწორებულს ენდეთ“, 21.30 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „თეატრალური შეხვედრები“ (გადმოცემა მოსკოვიდან),

● **სამშაბათი, 18 ივნისი**

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 12.00—მხატვრული ფილმი „გასწორებულს ენდეთ“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — ბავშვებისათვის. 1. „ცეროდელას ეკრანი“, 2. კინეცერტი, 19.15 — გადაცემა „ქართული ტანვარჯიშის დიდოსტატი“ — გიორგი ბაბილოძე, 19.35 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — „რეტაბელობის გზით“, 19.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.05 — „ტელეპანორამა“, 21.00 — „ახალი ამბების ესტაფეტა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — მხატვრული ფილმი „ჟურნალისტი“ (II სერია).

● **პარასკევი, 21 ივნისი**

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 12.00 — მხატვრული ფილმი „ჟურნალისტი“ (II სერია), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ცეროდელას ეკრანი“, 2. კინეცერტი, 19.15 — გადაცემა „ქართული ტანვარჯიშის დიდოსტატი“ — გიორგი ბაბილოძე, 19.35 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — „რეტაბელობის გზით“, 19.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.05 — „ტელეპანორამა“, 21.00 — „ახალი ამბების ესტაფეტა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — მხატვრული ფილმი „ჟურნალისტი“ (II სერია).

● **შაბათი, 22 ივნისი**

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „სამედიცინო რჩევა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ეროვნული სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 12.15 — მხატვრული ფილმი „ჟურნალისტი“ (I სერია), 18.00 —გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „ეროტიკული აღზრდის ტელეფილტრი“ — ერმიტაჟი, 18.35 — კინონარკვევი, 18.55 — გადაცემა „პარტიის გადაწყვიტილებანი — ცხოვრებაში“, 19.25 — კონცერტი, 20.05 — სატელევიზიო სპექტაკლი „თავისუფლების პირველი დღე“ — პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 22.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.25 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.30 — კონცერტი ესტრადის მოყვარულთათვის (გადმოცემა მოსკოვიდან).

● **ხუთშაბათი, 20 ივნისი**

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „ილიჩის თანამებრძოლი“ — სერგო ორჯონიკიძე (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.45 — ქართული მხატვრული ფილმი „ციხკარა“, 20.00—გადაცემა „საპატერო ჭიშკარი“, 20.25 — კინონარკვევი, 20.35 — გადაცემა ბარათაშვილის ხელნაწერებიდან“, 21.05 — „ჩვენი თვითმოქმედება“ — კონცერტი, 21.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.00 — მხატვრული ფილმი „ჟურნალისტი“ (I სერია).

● **პარასკევი, 21 ივნისი**

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 12.00 — მხატვრული ფილმი „ჟურნალისტი“ (II სერია), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ცეროდელას ეკრანი“, 2. კინეცერტი, 19.15 — გადაცემა „ქართული ტანვარჯიშის დიდოსტატი“ — გიორგი ბაბილოძე, 19.35 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — „რეტაბელობის გზით“, 19.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.05 — „ტელეპანორამა“, 21.00 — „ახალი ამბების ესტაფეტა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — მხატვრული ფილმი „ჟურნალისტი“ (II სერია).

თბილისის თეატრებში

15 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი (მე-4 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ბოგაის მეინდი, **რუსთაველის სახელობის მცირე დრამაზე** — მენეჯერაძე, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ძია გაღლასარი, **გრიბოიედოვის სახელობის** (რკინიგზელთა სახლში) — ზარი ცარიელ ოთახში (I აბონ. მე-5 წარმოდგენა), **ფილარმონიის საზაფხულო** — სესტრაჯო ვოკალური ანსამბლი „ციცინათელა“, **თოჯინების ქართული** — ცანგალა (დასაწყისი დღის 12 ს.).

ჭაღრაკის კუთხე

ოსტატ ბ. გურგენიძის რედაქციით

ამოხსენით, გვიპასუხეთ



თეთრები: მფe4, ეd4; პპ: f4; g4; (4).

შავები: მფg8; ეd6; პპ: e7; f7; g6; (5).

პოზიცია ამოღებულია ერთ-ერთი პრაქტიკული პარტიიდან. პირველი სვლების შემდეგ მიიღება დაბოლოება, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოპოზიცია.

თეთრები იწყებენ და იგებენ.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

ეროვნული

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58. ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-73-24. ილუსტრაციის — 93-28-54. განცხადებების — 93-93-96.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 03298

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.